№ 42. 25 თებერვალი, პარასკევი. 1866—1883 25 თებერვალი, პარასკევი. № 42.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოროშაბათს გარდა

რედაქცია

ბოლოგანის პრაკტიკუმზე თბ. ივ. მუხრანსკის სახლებში ქალების ქვემოდ.

ხელის-მოწერა

ქ. თბილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძეთ წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“

„დროების“ ფასი:

მთელ 1 წლისა	9 მან.	სამის თვისა	3 მან.
ექვსის თვისა	5 მან.	ერთი თვისა	1 მან.

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკი, ასოამოგრეულ ასოზე სამაგერი კაპეიკი, ბეჭედებიანი ასოებიანი სტრიქონზე რვა კაპეიკი.

თუ ხელშეკრულება მოითხოვს, რედაქცია ანგარიშს ... და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, ... ერთ-ერთ ... ფონტით ... ასტრიქონს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ფასი ... „დროების“ ... ფასი

ყველიერის დღესასწაულების გამო შემდეგი №-რი „დროებისა“ გამოვა სამშაბათს, 1 მარტს.

შაბათს, 27 თებერვალს
სასცენოზედ თეატრში
დანიშნულია ბენეფისი არტისტის-მომღერალის
ფ. ი. ქოქრიძისა
წარმოდგენილი იქნება
ეგრაელი ქალი
(„ევრეიკა“)
ებრაულ-ძველებიანი ოპერა ჰალევისა.

არწრუნის თეატრი
შაბათს, 26 თებერვალს
ქართული ბენეფისტული წიგნების დასაბეჭდად
სცენის მოყვარეთ და ქართული დრამატიული დასის დახმარებით გამართული იქნება:

I
ცოცხალი
სურათები
ა) „ვეფხის ტყაოსნიდამ“
ბ) „ქეთევან დედოფლის წამებიდამ“

II
დივერტისმენტი
კუპლეტებით, სიმღერით და ლექციებით

III
ლეკური და ჩეჩნური (ხანჯლებით).
დაწვრილებული ცნობა აფიშებით.
დასაწყისი 7½ საათზედ.

„დროების“ ფელეტონი, 25 თებერვ.

დღიური დარდები.

მე როგორც ვატყობ, ქართველი კაცის მყუდროებას არავინ არ ზოგავს. ველანი, თითქო პირობა შეუკრავთო, იმის მეცადინეობაში არიან, რომ ახალი რამე ნაცილი გამოუგდონ მას და დაგვირღვიონ გულის სიმშვიდე, სულის აუშფოთებელი სიწყნარე და უმანკოება. ამ გასაკიცხ საქმეს მარტო ჩვენი მოსისხლე მტრები კი არ მიზდევენ, არამედ ჩვენი ასრედ წოდებული მოკეთეებიც. ერთი კაცმა ჰკითხოს, რას გვემართლებიან ჯერ პირველნი და მეტადრე მეორენი!..

ეს დარდები ამეშალა, სხვათა შორის, ბ. როსტომაშვილის ცხარე წერილის წაკითხვაზედ. ვისხედით ჩვენთვის ქალაქელი „ბამულის შვილები“, ბევჭირა ხელში ლაზათიანად გამართული ჩიბუხები და შეეეკცოდით, ვერთოქმოდით დარბაისლური მუსაიფით, უდარდელად, გულ-კეთილად და საამური სიზარმაცით, ზლაზნით. ამ დროს ჩვენა ვგრძნობდით ჩვენ თავს ნამდვილ ქართველებად, „კაცურ კაცებად“, როგორც ზოგნი ამობენ, და ისეთ სიამაყეს ვიძლეოდით, რომ თვით ყველაფერს არ მივცემდით სალამს.

მაგრამ დიდი ხნის სიცოცხლე არ დაჰყოლია დაბადებიდგან ჩვენ სილაღესა და მყუდროებას. აგერ ბ. როსტომაშვილი აღძრულა სიმშურნით ჩვენი უდარდელობისადმი და მოუწერია თელავიდგან ისეთი მიმართვა ტფილისელებისადმი, რომ კაცი, გინდა ქვის გულის პატრონი იყოს, მაინც იგრძნობს რაღაც ახალ დაჭრილობას, იგრძნობს რაღაც მიუღებელ მათრახს, რომელის სიმწვავეს თვით სპილოც კი ვერ გადაჰყლაპავს თვალ-დაუხამხამებლივ... ჩვენ ხომ, რაც უნდა იყოს, კიდევ კაცნი ვართ!..

მერე, რა ეპრიანება ბ. როსტომაშვილს? რა უნდა ჩვენგან? ვაჭრებმა სული ამოგვხუთესო, სოფლები და ქალაქები ერთიან ხელში ჩაიგდეს და ლამის სრულებით გაგვაძეონ კიდეც ჩვენი მიწა-წყლისგანაო. მერე რა გამოვიდა, რომ ხელში ჩაიგდეს! სხვას ხომ არ ამოურთმეია ჩვენთვის სული პირიდგან, ისევ ვაჭრებმა არ ამოგვართვეს?! აქ სულაც არა არის რა ისეთი, რომ ქვეყანა შეეყაროთ. ლუკმა გავარდესო, ჯამში ჩავარდესო. დღეს ვაჭრები ჩვენი ჯამები არიან და, რაც გვცევევ, სულ იმათ დღეგრძელობაზედ მიდის. მაშ კარგი ის იქნებოდა, რომ ჩვენი ლუკმა სხვას წეღლო! სულაც არა. მე ისევ ვაჭრები მირჩევნიან. რაც უნდა იყოს, ვაჭარი კაცი კიდევ სხვა რამ არის. ერთი იმისი კეთილი გამომეტყველება, როდესაც უნდა, რომ შენ მიგიყვანოს თავისთან სავაჭროდ, ერთი იმისი საატრფიალო მგრძნობიერება, მეტადრე როცა მოტყუება სწადიან,—ჯერ ყოველივე ეს რადა ღირს! სხვა ღირსებაზედ გინდ არცა რა ვთქვათრა, მარტო ესა კმარა, რომ ჩვენ სრულებითაც არ შევძრწუნდეთ ბ. როსტომაშვილის მკვახე განცხადებით, რომაო ყველაფერი ხელიდგან გამოგვაცალესო. თუ კი შეერგებათ, გამოგვაცალონ, თქვენ რადა სკდებით ბრაზზედ. მაგრამ, ესთქვათ, ისეთი რამ მეხი გატყვრეს—უი, ღმერთმა კი ნუ ქნა!..—, რომ ვაჭრებს ბალლამზედ უმწარესი შხამი გამოუჩნდეთ ჩვენ ლუკმაში, რომელსაც ისინი ათასი ჭკვიანური ოსტატობითა და ხერხებით ეზიდებიან ჩვენი საუნჯიდგან, გამრჯე თაგვებივით... მაგრამ არა, ამისთანა სიტყვა არ გამოდგება. ეხლაც თავი დავანებოთ, თორემ სხვა-და-სხვა „ამ ხებზედ“ ლაპარაკი ჯერ არავის არ და ჯდომია იაფად, და არც ჩვენ დაგვზოგავენ...

სხვა, მხრიდამ შევხედოთ საქმეს. ეს ხომ აშკარაა, რომ ვაჭრებს მიაქვთ ჩვენი სარჩო თვით მაშა-პაპეულიდგან მოკიდებული. ვიდრე ჩვენი დღიური ოფლით მოპოებულამდის. მერე, რა ნებავს იმ ვილაც თელაველ ქართველს?

ისაო, რომ, ქალაქელებო, ახსენეთ

არწრუნის თეატრი.

პარასკევს, 25 თებერვალს

ქართული დრამატიული დასისაგან
წარმოდგენილი იქნება
ჰამლეტი

ტრაგედია 5 მოქმ. და 7 სურათად თხზ. ვ. შექსპ რისა თარგმანი ანტ. ფურცელაძისა.

ჰამლეტის როლს შეასრულებს ვ. ალექსეევ-მესხიევი.

დასაწყისი 8 საათზედ.

ტელეგრამა

(„ნოვოეროეთ ტელეგრაფის ბიუროსა“)

სამხედრო გარეთიდამ

23 თებერვალს

პარიზი. გუშინდელ დეპეშტატთა პალატის სხდომაზე, ჟულენსოს სიტყვის შემდეგ, რომელიც თხოულობდა სენატის გაუქმებას, ფერრიმ განაცხადა, რომ თუ პალატა მიიღებს მხედველობაში კონსტიტუციის გადახედვის წინადადებას, სამინისტრო გამოგვა სამსახურიდამ; 316 ხმის უმეტესობით წინადადება 173-ისა პალატამ უარ-ყო ხსენებული წინადადება და 340 ხმამ წინადადება 139-ისა სდობა განაცხადა სამინისტროსადმი.

რუსეთიდამ

21 თებერვალს

პეტერბურღი. გვარდიის ჯარის შტაბისა, და პეტერბურღის სამხედრო ოლქის უფროსს, ღენ-ად. როზენბახს განეცხადა უდიდებულესი მადლობა კერძოდ მისის უდიდებულესობის მინდობილების წესიერად აღსრულებისათვის.

დღიური

გუშინ განსაკუთრებულმა კომისიამ ქალაქის ბამგეობის ხმოსანთაგან გასინჯა ცხენის რკინის გზა.

ბუკის ხიდიდგან რკინის გზის ეგზლამდის ცხენის რკინის გზა სრულებით მზად არის და ამ ორიოდე დღეში გაიხსნება ვაგონები, პირველში რომ დაიწყებენ სიარულს, ჩაიტევენ ოცსა-ოცს. ფეხის დასადგომები სიარულის დროს ასასვლელად იმდენად დაბალია, რომ ბავშვსაც თავისუფლად შეუძლიან ასვლა და ჩამოსვლა.

გზა მოიწონეს, მხოლოდ ორიოდე ადგილს ვიგრძენით უსწორობა და კარგა საგრძნობელი რუეა მატარებელისა. მაგრამ ეს იმის გამოა, რომ გზა ჯერ კარგად ვერ არის გატკეპნილი.

მზადდება დახურული მატარებლებიც ავდრისა და ზამთრისათვის.

ცხენები ჩინებულია და კარგად გაწვრთნილი.

სულ ოც-და-ათი ვაგონია, ეს ოცი ცხენი, რომელთათვისაც მუშტაიდის ზევით დიდი შენობა გაუმართავთ; იქვე გამართულია სახელოსნოები, სადაც კეთდება ვაგონები.

* * *

ხვალ 26 თებერვალს გამართული იქნება **არწრუნის** თეატრში **„ცოცხალი სურათები“** „ვეფხის ტყაოსნიდგან“, და „ქეთევან დედოფლის წამებიდგან“, მთიელთ და დანარჩენი ხალხის ცხოვრებიდგან. ამას გარდა ჩვენებური ხორი იმღერებს ქართულსა, კახურსა და იმერულს ხმებს. იქნება დივერტისმენტი სასიმღერო კუპლეტებით, ლექსების კითხვით და ლეკურით.

მხიარული სალამო იქნება, ეტყობა. ჩვენს ხალხს ისე მოსწონს ცოცხალი სურათები და ამასთან საქველმოქმედო საქმეცაა ... , იმედია, დახმარებას არ დაკლებენ.

* * *

გაზ. „ოერგი“ უჩიის ვლადიკავკაზში ქალების სასწავლებლების ნაკლულევანებას. მაშინ როდესაც კაცებისათვის გამართულია რეალური სასწავლებელი, კლასიკური პროგიმნაზია, სამხედრო პროგიმნაზია, კერძო რეალური სასწ., სახელოსნო სასწ., საქალაქო და სამეშჩანო სასწ., და სხვანი, ქალებისათვის სულ სამი სასწავლებელია — ოლგის საქალებო გიმნაზია, ერთი პირველ დაწყებითი სკოლა და ერთიც ოსეთის საქალებო სკოლაა, მაგრამ ყველა ესენი ნახევრადაც ვერ აკმაყოფილებენ ქალების სწავლის მოთხოვნილებასაო.

* * *

მხიარულად ჩაიარა ნ. მ. ბაბუნიას ბენეფისმა. ბევრი ვეაციენეს ხორეშანმა-სუტ-ენეინამ, (ნ. ბაბუნია) მოსემ, (ა. უფიანი) და ლუარსაბსა (ნ. ჯორჯაძე) „მაჭანკალში“. დაბოლოს იმერულმა სიმღერებმა დაგვატკბო. ცოტა თხელი კი იყო ხორო—სულ ექვ-

სი კაცი. იმერულ, კარგად დაწყობილ სიმღერას მეტი მომღერალი სჭირია.

ამ სიმღერებზედ მოგვაგონდა. ბ. ნაკაშიძის ლოტბარობით, ამბობენ, და ჩვენც მოვიხსენეთ, ქართული სასიმღერო საღამოები უნდა გამართულიყოო. შევიგონებთ თუ არა ამ სიმღერებს?..

* * *

ბორჩალოს მაზრის სოფ. არამლოში ადგილის ურიადნიკს მოუკლავს ერთი იქაური მცხოვრები, რომელსაც წინააღმდეგობა გაუწევია, როდესაც რაღაც მიზეზით დატუსაღება მოუნდომესო. ამ ურიადნიკის ჩვენებით ადგილის მცხოვრებლებმა დახმარების მაგიერად ამ ეხლა მოკლულის დატყვევების დროს, თანაგრძნობა, ქომაგობაც გაუწევს მოკლულსაო. მაზრის პოლიციას, როგორც „იურიდ. მიმოხ." იწერება ეს გარემოება სოფლის აჯანყებად უცვნია და ეგზეკუცია (25 ყაზახი-რუსი) ჩაუყენებია სოფ. არამლოშიო.

* * *

ამავე გაზეთს დეპეშით აცნობებენ ნოვობაიაზეთიდამ, რომ 21 თებერვალს იქ გაუცარცვავთ ადგილობრივი პოლიციის სამართველო; წაუღიათ 15,529 მან... აფერუმ პოლიციის მართველობავ!...

* * *

ტფილისში ჩამოვიდა ერთი უცხოელი მადნეულების სათხრელ იარაღით. ალექსანდროვის ბაღში გაუმართავს ამ კაცს კარავი და მსურველთ მცირე საფასით უხსნის, როგორ უნდა მოიხმარონ ეს იარაღი სხვა-და-სხვა მადნეულების ძებნის დროს.

* * *

„კავკაზს" აცნობებენ დუშეთიდამ, რამდენიმე ადგილს მცხოვრებთ შეუდგენიათ კოლექტიური თხოვნაო იუსტიციის მინისტრისადმი, რომ ადრინდელი მომრიგებელი მოსამართლე დუშეთისა, რომელიც ამ ჟამად უუბანის მაზრაში გადაამწესეს, ისევ დაბრუნებულ იქმნეს დუშეთში ამ თანამდებობაზედ.

* * *

ჩვენი ქვეყნის ნავთი თან-და-თან წარმატებს სხვა ქვეყნებშიაც. პოლშაშიო, იწერება ერთი რუსული გაზეთი, სამზღვარ-გარეთის ნავთი 5 კ. ძვირად იყიდება კავკასიის ნავთზე, თუმცა ეს უკანასკნელი არარა ღირსებით არ ჩამოუვარდება პირველსაო, სამზღვარ-გარეთის ნავთსაო.

* * *

ყარსის მაზრაში ითვლებაო ამ ჟამად, როგორც იწერება გაზ. „ყარსი", სულ **151,718** სული მცხოვრები. აქედამ **12,911** სული თვით ქალაქში სცხოვრებს და დანარჩენი **138,807** —მაზრად. ამას გარდა მაზრაშია **11,261** ჯარი.

ხალხოსნობით ყველაზედ მეტს რიცხვს მცხოვრებლებისას შეადგენენ თათრები — **39,099** სული, შემდეგ სომხები—**30,518** სული და სხვა-და-სხვა. მუდმივ მცხოვრებლად ქართველია 9 სული.

* * *

მიგვიქცევია ჩვენი რკინის-გზის მმართველობის ყურადღება შემდეგს შენიშვნაზე, რომელიც მივიღეთ 20 ამ თვისას ტფილისიდამ სალამოს გასულის მატარებლით მოგზაურისაგან.

„.... ტფილისიდამ წამოსული ჩვენი მატარებელი გასცილდა თუ არა ბექათუმნის სადგურს—სადაც გვერდს ჩაუარა ტფილისში ფოთიდამ მიმავალს მატარებელს—და მიაწია სოფ. წევას, (მოხსენებულის სადგურისა და ზესთაფონის შუა:, $7\frac{1}{2}$ ვერსზე უკანასკნელიდამ) წინ დაგვიხვდა ადგილის დარაჯი და გვიჩვენა ნიშანი გზის-წახდენისა. მატარებელი მყის შეაჩერეს. მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ მაბრძანდა „გზის ოსტატი". აღმოჩნდა, რომ რამდენიმე მინუტის შემდეგ ფოთის მატარებლის ჩავლისა, აქაურ დახეთქილ-დასერილს კლდეს, (რომელიც დღემდის და დღესაც თალსავით დასცქერის რკინის გზის სოხანეს), ორი მეტად უზარ-მაზარი ქვა წამოუწევენია რელსებზე...

„კინაღამ მეორე დილამდის იქავ დარჩა მატარებელი, მაგრამ მგზავრებმა თავიდამ აიცილეს ეს უსიამოვნო ღამის-თევა, თვითონ გაისარჯნენ და ერთიოდე საათის ცდის შემდეგ გადაათრიეს სოხანიდამ ქვები და მატარებელმა შესძლო გზის გაგრძელება.

„რა იქნებოდა, რამდენიმე მინუტით რომ ან ფოთის მატარებელს ან თვით კლდეს ჩამოწვენა დაეგვიანებინა? ხომ ნამსხვრევად იქცეოდა მთელი მატარებელი? და ვინ იქნებოდა დამნაშავე თუ არა თვით რკინის გზის მმართველობა, რომელიც ყურადღებას არ აქცევს იმერეთის ზემო-მხრის რამდენიმე ალაგს, როგორ ვიწროდ არის სოხანესთვის გაჭრილი კლდენი, რომელთაც ბევრს ალაგს ერთობ სუსტი და ნაფხვენ-ქვა-მიწისაგან შეზავებული თავი აქვთ გადაბმული სოხანის ზევით ათიოდე-საჟენზე!

„დრო არის რკინის მმართველობამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და საჭირო განკარგულება მოახდინოს, რომ მოხსენებულს ადგილებში კლდეები გააფართოვოს, სადაც საჭიროა, და სადაც უზარ-მაზარი ქვები სუსტად ეკავშირება კლდეს, [illegible] ეს საშიში ნაწილები, თორემ ერთი მშვენიერი დღე უბედურად დაულამდება რამდენიმე ასს ქალსა და კაცს, ყრმასა და მოხუცს...

„დროების" კორრესპონდენცია

თელავი, 16 თებერვალს. ეს მეორე წელიწადია, რაც ბ. ბაღდოევმა და კომპ. დააარსეს თელავში ეგრედწოდებული, **„სავაჭრო სახლი რწმუნებაზე" (Торговый домъ на вѣрѣ).** ამ დროში, როდესაც ჩვენ მხარეს ასე უძნელდება ორიოდე თუმნის სესხი, ეჭვი არ არის, რომ ამ გვარი სახლის დაარსება ყველასათვის უნდა ყოფილიყოს ფრიად სასიხარულო. მაგრამ მოვსტყუვდით: გამოდის, რომ ჩვენი მხრის შვილი, ბ. ბაღდოევი და კომპ., ის ბაღდოევი, რომელიც ამას წინად სადილზედ ლაღადებდა, რომ ჩემი სიცოცხლე ჩემს სამშობლო ქალაქს უნდა შევსწიროვო, ყოფილან ნამდვილი **მევახშე-მძარცველნი.** ამიტომ, ვიღებთ რა კალამს ხელში, ვბედავთ, ჩვენის ქვეყნის ერთგულის გაზეთის შემწეობით, საჯაროდ გამოვაცხადოთ ის მანქანება, რომლის საშუალებითაც ბ. ბაღდოევი და კომპ., თავიანთი ჩარჩ-მჯილის ჭკვით, ჰფიქრობენ ჩვენი გულ-წრფელი და უზაკველი ხალხის საბოლოოდ გაყვლეფას. იმედი გვაქვს, რომ ვიდრე ჯერ კიდევ დრო გვინათის, თელავის და მისი მაზრის მცხოვრებნი გაუფთხილდებიან თავიანთ თავს და თავის ჯიბესა და უბრალო საჭიროებისათვის არ გაეძარცვინებიან ბ. ბაღდოევს და კომპ. „სავაჭრო სახლსა," რომელსაც

ღმერთი და გაიბღერტეთ ყურიო. აბა, მართლა, ეს არის საქმე, და! ყური გაიბღერტეთო!.. კაცო, შე ულმერთო, ვისაც არ გესმის, განა ჩვენთვინ ის კი არა კმარა, რომ თვალი გავახილოთ და დავინახოთ, თუ რა დღეშია ჩვენი ჯიბის ყოფა, და რამოტელა მეცადინეობასა ხმარობს ჩვენი ვაჭარი კაცი, რომ მალე ეს ჯიბე თავის ბუდედ გადააქციოს... ჰო, განა ეს არ გვეკმარება, რომ ახლა ყურები არ შეგვაწუხებინო! „გაიბღერტე ყურებიო", თითქო „ოინობა" იყოს, თითქო ბავშვებთანა ჰქონდეს საქმე.

ყურის გაბღერტა მარტო იმას ხომ არა ნიშნავს, რომ მოივლე ყურზედ ხელი და გაიქნივ-გამოიქნიეო. ოჰ, ამას რომა ნიშნავდეს, მოვიქნევდი კი არა, მოვიგლეჯდი ძირიანად, ოღონდ ჩემთვის თავი დაგენებებინათ. მაგრამ სად არის სამართალი. ყური გამოიბღერტეო, მითომ... მითომ გაისარჯეო, რომ თუ ცოტაოდენი კიდევ დაგვერჩომია რამ ხელთ, ის მაინც, ჩვენი ეროვნული სულის მოსაბრუნებლად, არავისლა დავანებოთო, გვქონდესო, ხელიდგან ნუ გაუშვებთო.

მე, როგორც ნამდვილ ქართველს, ისეთი გული მომდის ამ შემაძრწუნებულ მოძღვრებაზედ, რომ ვერ დამიტევნია ბრაზები და ბოდიშს ვიხდი, რომ, ჩემის სისუსტით, მინდა ყოველ ნაბიჯზედ შევაყვნო ბ. როსტომაშვილი, მანამ სულ ბოლომდის ჩამოვთვლით იმის ნათქვამს...

ჰო, იქ ვიყავით—ხელიდგან ნუ გაუშვებთ თქვენ სარჩოსაო. ყველაფერი გაუგონია ჩემს ყურებს, მაგრამ თუ ამის გაგონებამდისაც მე ვიცოცხლებდი, თუ ამასაც შევესწრობოდი, ის კი არ მეგონა. როგორ თუ ხელიდგან ნუ გაუშვებთო? მაშ რა უნდა უყოთ! დავბღუჯოთ ხელში და შევყუროთ ჩვენ სარჩოს! დიდად მადლობელი გახლავართ. მერე ჩვენი ეროვნული ხასიათი, ჩვენი ქართული ფერონება ვიღას დაუთმოთ? ქართველი კაცი თავის დღეში არა ყოფილა ანგარიშის კაცი და არც იქნება. ჩვენი ღირსება, ჩვენი სიამაყეც იმაშია, რომ უანგარიშონი ვართ, უანგარიშოდა ვსცხოვრობთ, უდარდელად, უფიქრელად, უზრუნველად. მანამ გვაქვს, კიდეცა ვსჭამთ, და როცა აღარა გვექნება რა, მაშინ კიდე ღმერთი მოწყალეა, რაღა ჩვენ დაგვაგდებს უნუგეშოდ!.. ანგარიში რის შუაშია.

* * *

მაგრამ, ვსთქვათ, როგორმე მოხდა სასწაული და ქართველმა კაცმა მზრუნველობით დაუწყო ყურება მომავალს, მოიწადინა, რომ ააშენოს თავისი ცხოვრება ანგარიშზედ, ესე იგი გაუფრთხილდეს, თავისი სარჩო თითონვე დაუტრიალდეს ოჯახში და არ გადააყოლოს ვაჭარ ხალხს. რა საშუალებას ურჩევს ბ. როსტომაშვილი ამ წადილის ასასრულებლად? გამართეთ, ქალაქელებო, დიდი ძმური საზოგადოება ქართველებისა, შეადგინეთ თანხა, გახსენით ტფილისში დიდი სავაჭრო ბინა, გამოიწერეთ ევროპის ფაბრიკებიდგან და ქარხნებიდგან საქონელი იაფად, ჰყიდეთ ზოგი ტფილისშივეო და ზოგიც გამოგვიგზავნეთ სხვა ქალაქების და სოფლების დეპოებში, სადაც გავაჩაღებთ საამხანაგო ვაჭრობასა და ამით ბოლოს მოვეულებთ უცხო თემის ულმერთოებას, ცარცვასა და გლეჯასაო.

თითქო ბ. როსტომაშვილი მთვარეზედა ცხოვრობსო და დედა-მიწისა არა გაეგება-რაო. „ქართველობამ შეადგინეთ საზოგადოებაო". განა ქართველი კაცი იქამდის დაჰკარგავს თავისნიერობას, რომ ის მიუდგეს, მიეკედლოს საზოგადოებას? რა ისეთი სუსტი ისა ჰნახე, რომ საზოგადობრივი ცხოვრება გასჭირებოდეს! ის გაცალკევებულიც კარგად იცხოვრებს და უფრო კარგად მოკვდება... გამოიღეთ ფული და შეადგინეთ საამხანაგო თანხა, რომელიც ერთ დროს ეროვნულ თანხად გადაიქცევა, მამულს ამოედგმის მაგარ ბოძადაო. კარგია, შენმა მზემ! „ფული გამოიღეთო და ეროვნული თანხა დააარსეთო". ფული მქონდეს და საამხანაგოდ გამოვიღო!.. მერე რისთვის? ეროვნული თანხისათვის. გამოტყვრეს კია საიდგანმე ის დალოცვილი ფული, თორემ ქართველმა კაცმა თითონ იცის, რა გზასაც უჩვენებს იმას. „სამშობლო ქვეყანას ბოძად ამოუდგება ეგ თანხაო". ძალიან საჭიროა სამშობლო ქვეყანა და ან იმისი ბოძები. თუ კი ფული ვიგდე ხელში, ის არა სჯობია, რომ იმან ბოძობა და საძირკვლობა გაუწიოს ჩემ მუცელს და კიდევ სხვა ორგანოებს, ვიდრე რაღაც მამულსა! არა, ძმაო, ჩვენ ქართველები ვართ და ვიცით ფულის დანიშნულება. ტყუილად ირჯებით და ჭკუას გვასწავლით, თქვენი ოსტატი ჩვენი შეგირდი იყო, ანუ თქვენ რომ სასწაულში ახლად მიზდიოდით, ჩვენ კიდეც კურსი შესრულებული გვქონდა და მოვდიოდით, ანუ კიდევ, თუ

ზოგიერთნი შეცდომით უწოდებენ „ბანკსა“. რომ უფრო ნათლად უჩვენოთ საზოგადოებას, ამ მეთახშე-მძარცველების უსვინდისოდ ხალხის ცარცვა, ჩვენ მოვიყვანთ აქ, ათასიდამ, მხოლოდ ერთს მაგალითსა, რომელსაც დაწვრილებით გამოვიკვლევთ. აი თვითონ მაგალითიც:

ამ ახლოს ხანში, ერთმა გვამმა ისესხა ხსენებული საეკლესიო სახლისაგან 100 მანეთი ხუთის თვის ვადით, რომელიც უნდა შეასრულოს, პირობის ძალით, ყოველი თვის გასულს, ერის თუმნის შეტანით. ამ ფულიდამ მას გამოურიცხეს შვიდი მანეთი და 95 კაპეიკი სარგებელი, ესე იგი სარგებელი გამოართვეს წინადვე. ახლა რომ ვიანგარიშოთ რამდენი % გამოართვეს, გამოვა არა 10%, როგორც ეს საეკლესიო სახლი აცხადებს, არამედ $29\frac{3}{4}$. აი თვითონ ანგარიშიც:

100 მანეთში, ხუთის თვით აღებულში, აიღეს 7 მ. და 25 კ., ანუ თვეში $\frac{795}{5}$ და წლიწადში $\frac{795.12}{5}$ = 19 მ. და 8 კ. %. ახლა ვიანგარიშოთ ის ფულის სარგებელი, რომელიც ყოველი თვის გასულს უნდა შეეტანოს ფულის გამტანმა, ასი მანეთის შესასრულებლად:

თვიური შესატანი ფული:		ვადამდინ. თვე:
1.	20 მანეთი	4 თვე.
2.	20 მანეთი	3 თვე.
3.	20 მანეთი	2 თვე.
4.	20 მანეთი	1 თვე.
5.	20 მანეთი	„
	სულ	10 თვე.

ვადამდინ ფულის გამტანს ერგება 20 მანეთის სარგებელი ათის თვისა, ესე იგი თვეში ოც მანეთზე ერგება 38 კაპეიკი და ათ თვეში 38 კ. $\times 10 = 3$ მან. და 80 კაპ. ათ თუმანზედ ხუთი თვისა ერგება გამტანს 3 მან. და 80 კ. თვეში $\frac{380}{5}$ და წელიწადში $\frac{380.12}{5}$ 9 მან. და 12 კ. ამას გარდა, ზედ რომ მივიდეთ 7 მ. და 95 კაპეიკის ხუთი თვის სარგებელი, გამოვა $63\frac{1}{3}$ კაპ. ერთი თვისა იქნება $\frac{63\frac{1}{3}}{5}$ და ერთის წლისა $\frac{63\frac{1}{3}.12}{5}$ 1 მან. და 50 კაპეიკი. ახლა შეეაერთოთ:

1, —	19 მან.	და 8 კ.
2, —	9 მან.	და 12 კ.
3, —	1 მან.	და 50 კ.
სულ	29 მ.	70 კ.

მაშასადამე ბ. ბალდოევის და კომპ. „საეკლესიო სახლმა“ გამოართვა ფულის გამომტანს $29\frac{3}{4}$%, ესე იგი თითონაღდ მანეთზე თითქმის ექვსი შაური.

როგორ მოგწონთ ეს? თუ ქართველებმა არ იციან ანგარიში, თქვენ რალამ დაგაბრმავათ, სომეხნო?

მოკვეთე.

უცხოეთი

საფრანგეთი. შინაგან მტრებს გარდა, ახალს ჟულ ფერერის სამინისტროს გარეგანი მტრებიც აღმოუჩნდა. ამათ უძლურად მიაჩნიათ ევროპის თვალში ფერერის სამინისტრო. ამ სამინისტროს არ ძალ-უძს წესიერ, რიგიან დონეზედ დაასვენოს საფრანგეთის საქმეების მსვლელობაო.

მაგრამ ყველაზედ მეტს პატიეს მითხდიან ამ სამინისტროს, რომ ვითომ მის უპირველეს წარმომადგენელ თ: ფერერის (სამინისტროის თავს-მჯდომარე) და შალმელ-ლაკურს (უცხო ქვეყ. საქმეთა მინისტრი) იტალიასთან გამართული ჰქონდეთ მოლაპარაკება საფრანგეთის დაკავშირებაზედ გერმანიის და ავსტრიის საწინააღმდეგოდ. საბუთად ამ გვარის მოსაზრებისა მოჰყავთ ერთს იტალიანურს რადიკალურ გაზეთში „*Reforma Sociale*“-ში დაბეჭდილი წერილი ჟულ ფერერისა, სადაც სხვათა შორის მოყვანილია შემდეგი სიტყვები:“

„ერთი და იგივე ჩამამაელობა, ძმობა იარალით, კაცობრიული წის-სელა, თავისუფლება და ინტერესები დემოკრატიისა, ტრიესტი და სტრასბურგი (პირველი ადრე იტალიის ქალაქი, რომელიც ეხლა ავსტრიას უპყრია და მეორე საფრანგეთისა—პრუსიას) აიძულებენ ორთავე ქვეყანათ (საფრანგეთს და იტალისა) მჭიდროდ დაკავშირებაზედ.“

— პრინც ნაპოლეონის შვილებს იტალიის ჯარში განუზრახავთ მსახურობა.

— ეხლა, როდესაც მცირედ მაინც დაიწყო საფრანგეთის საქმეები, ინგლისმაც საჭიროდ აღიარა ეგვიპტეს შესახებ დაჰკითხოდა საფრანგეთს. შალმელ-ლაკურმა მიანება ინგლისს თავისუფალი მოქმედება ეგვიპტეში იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთის სასარგებლოდ გადაიდება რამ.

— პრინც ნაპოლეონს მაინც კიდეგული შესტკივა სადრანგეთზე. ამას შეუჩივლია ერთის გაზეთის მოამბესათვის, თუ როგორ უსამართლოდ მოეპყრენ მას საფრანგეთში,—იქამდის მიმაღწევინეს, რომ ჩემის ხელით წაღები მაწმენდინეს! საფრანგეთი დაუდარებია ჭრინცს სუსტი ნერვების მქონე ქალისათვის, რომელიც დღე-მთელი ნებიერად გადაწოლილია ბალკონში ხანდისხან უეცრად წამოხტება და ... ხელში მოხვდება ცხვირპირში ახლის თავისიანებსო.

—

ოსმალეთი. მწარე ხვედრი ულიმის ოსმალეთს. მისს ბედს ძალიც არ დაჰყეფსო, რომ იტყვიან—ეს სიტყვები ასლად ოსმალეთზე და ხონთქარზეა ამ ჟამად გამოჭრილი. მწვავ მჭმუნვარებასა და ვალალში ჩააგდო ხონთქარი ქვემო მოყვანილ ამბავმა, რომლის უბედურ შედეგსაც გულისძგერით ელის მთელი აღელვებული ოსმალეთი. ეს ამბავი მოხდა თვით ოსმალეთის სატახტო ქალაქში, სტამბოლში, ბალიდეს მეჩეთში. როდესაც უფროსი იმამი მხურვალე ვედრებას უძღვნიდა მაჰმადს ხონთქრის სადღეგძელოდ, მივარდა მას ერთი მეჩეთში მყოფი სოფთთაგანი სალი, სასულიერო სემინარიის სტუდენტი, დანით დასჭრა რამდენიმე ალაგს და თან ჩასძახა:„—ნუ ვვედრი მაჰმადს იმისთვისის წყალობითაც ჩვენ ესრედს უძლურებაში ვართ ჩავარდნილი ამ ჟამად!“ დიდხანს უმალვიდენ ხონთქარს ამ შემთხვევას, ბოლოს გაიგო და მას შემდეგ, ამბობენ, ძალიან დალონებული და დაფიქრებული არისო.

ნარევი

ზმები საუველიერო საჰამადებზე

თ. გიორგი თავდგირიძისაგან (გურიაში) ნათქვამი ლექსად *)

...მარტო ბიჭი მიდიოდა,
საარაკო ბრიყვად ვნახე,

*) ეს ორიგინალური ზმები ჩვენ გადმოგვცა სპეტიო ბ—ნმა თ. გრ. დ. გურიელმა. ჭ.

ჭკუა გაქვსთ, თქვენთვინ შეინახეთ, ჩვენ ისეც კარგად ვიცით ყველაფერი. იტყვიან, რომაო ეგ ფული ხომ არ იკარგება, ის მხოლოდ თანხადა რჩება, თითქმის გენახებათ მოგებითაო და ჰამაც იაფადა ყიდულობ საქონელს თქვენთვინ, ვაჭრებს არ უვარდებით ხელში, ჰამაც ქართველი ხალხი სარგებლობსო. საქმეც ეგ არის, რომ მენახება და! მიკოდე, რომ სადმე მიჭყავის გროშები და შეეყურო იმის მოგებასა, იმის სარგებლობას! მერე, ხომ ბრაზებით გული გამისკდა!.. არა, ქართველი კაცი ამისთანა განსაცდელს ვერ აიტანს. ისევ ისა სჯობია ყველაფერი ხელიდგან წაუვიდეს, ოღონდ გემო კი გაიღოს, ვიდრე ელოდოს, მანამ იმის თანხაში ჩაიღრჩობა ჩვენებური ვაჭარი კაცი, გინდა ეს მართლა სასიკეთოც იყოს საქართველოსათვის, გინდ ყველაფერიც რომ მოსახერხებელი იყოს, მარტო ის გარემოება რამდენს სიძნელეს შეადგენს ქართველობისათვის, რომ უცებ იმან ქიშპობა გაუწიოს სომხის ვაჭრებს. პირველი ესა, რომ ჩვენი ხალხი მომეტებულ ნაწილად მიზდევა მეცხვარეობას. ჭმთა ვითარებამ იქონია თავისი გაელენა, და ქართველმა ხალხმა შეითვისა თავისი ცხოვრების ბედი და უბედობა, ცხვრის ხასიათი და თვისება. ბაზაფხულზედ გაპარსული ცხვარი მიუდით მთებზედ, სადაც შემოდგომისათვის მოეზდება ისევ მატყლი, და ქართველი კაცი თავის დუქარდით ხელ-მეორედ ააცლის ამ მატყლს, გაპარსავს. ბაზაფხულზედ და შემოდგომაზედ ცხვარი უეჭველად უნდა გაიპარსოს. აგრეთვე ჩვენი ხალხიც მიეჩვია ვაჭრებისაგან გაპარსვას და იქამდის მიეჩვია, რომ თითქმის ვადაც ცხვრებთან ერთად მოზდის—გაზაფხულობით და შემოდგომაზედ. ეხლა მოდი შენა და ამისთანა ჩვეულებაზედ, რომელიც თითქმის ბუნებად გადაჰქცეულა, ხელი აიღებინე. ეს ყოვლად შეუძლებელია. თითონ ჩვენი ხალხის სიბრძნე გაიძახის—„შეუჩვეველს ნუ მიაჩვევ, შეჩვეულსა ნუ მოაკლებო“. მეორეც ისა, რომ განა ქართველი კაცი იქამდის უგულოა, რომ ვაჭარ კაცს ქიშპობა გაუწიოს. საზოგადოდ, ვაჭრობა ისეთი ხელობაა, რომ კაცი სხვა აღარაფერში გამოდგება. ჩვენ კიდეც ვიმუშავებთ, კიდეც ვხნავთ, მოვთესთ, მოვმკით, ძროხასა და ცხვარს მოუვლით და ამ გვარად ვიშოვნით ლუკმა-პურს, ჩვენი საკუთარის ოფლით. ვაჭარმა კაცმა რაღა უნდა ქმნას, რომ ვაჭრობაშიაც შეეეცილნეთ? ხომ შიმშილით მოკვდა! მერე, ცოდო არ არის! კაცი, რომელიც იმითი შოულობდა ლუკმასა, რომ ჩვენ გვატყუებდა ათასი ხრიკებითა და თავ-დაბლობით; კაცი, რომელსაც მთელი თავისი იმედი და სასოება დამყარებული ჰქონდა ჩვენ გამრჯელობაზედ, ჩვენ ოფლზედ და სისხლზედ, რომელიც წურბელასავით იკვებებოდა ამ ჩვენი ოფლითა და სისხლით, ჩვენი ნაწვავ-ნადაგით,—უცებ ასეთი საცოდავი კაცი, წურბელასავით გაესილი და გატიკული, უნდა მოვაგდებინოთ ზურგიდგან, გადავაგდოთ მშრალს მიწაზედა და უთხრათ—ეგე, შვილო, იცხოვრეო! ხომ მოკვდა შიმშილით საწყალი... არა, ჩვენ მაგეთი გულ-ქვაევები არა ვართ. ეგ არ შეიძლება და ათასჯერ არ შეიძლება.

***

ამისთანა მწარე და შავი ფიქრებით აღელვებულს დამეძინა, მკითხველო, და ვნახე შესანიშნავი სიზმარი. ღმერთმა კეთილად აღგისრულოსო, მეტყვით, მაგრამ ძალიან სიზმარი კი იყო. ვნახე, რომ ქართველებში გამოჩენილიყვენ ზოგნი იმისთანა გადაბირულნი პირნი, რომელთაც ქართველობისა აღარა ეტყობოდათ-რა, და ჩემი ეჭვებისა და სიტყვების გასამტყუნრად, ესმინათ ბ. როსტომა შვილის გამოწვევისათვის და მოემართათ ჩვენი რედაქციისაკენ, პირველად, რომ მე თავს არა ვსჭრიდე ჩვენ ქართველ საზოგადოებას, და მეორედ, რომ რედაქციამ გაუწიოს რაიმე სამსახური და აჩვენოს გზა, თუ სად უნდა შეეტანონ ფული, ვინიცობაა, როდისმე გამოჩნდეს მოთავე, შეადგინოს საზოგადოება, შეკრიბოს თანხა, გამართოს ძრიელი საეკლესიო დეპო და სულ თავზედ კაკალი ამტვრიოს გამტყუვებელ და კაცი-ყლაპია ვაჭრებსაო...

ეხედავ ამ სიზმარს და სიზმარშიევ მიკვირს—ნუ თუ ეს მართალია?! ნუ თუ ეს წერილები ქართველი კაცებისაგან არიან გამოგზავნილნი-მეთქი?!. იქამდის გამოაცა ამ სიზმარმა, რომ ღრმა ძილი ხელ-და-ხელ დამეკარგა, ვამოვეფხიზლდი და ცოტათი დავმშვიდდი, რომ ჩემი აზრი ასე მალე არა ვნახე გამტყუნებული.

რასაკვირველია, ამისთანა სულელური სიზმრები მაგრე ადვილად ვერ გაამტყუნებენ აზრებს, რომელნიც ჩვენი ცხოვრების სინამდვილის მონაბერნი გახლავან...

სტ. ჭრ—შვილი.

მოექაშა ბილწი ლომი—
მისი გემო ვერაფანახე!

—

ასალო ქობლეთს დავტოვე,
მთაზედ თავი შევინახე?

—

დორჯოძიდგან ძოძავალმა
ახალციხე დავინახე.

—

ზურგი ელიზბარს მივანდვე
ერდოში ჩამიყვანაო,
ბაუბეუგელი დაურჩი—
იმანვე მოინანაო!

—

შენ მიერ ბოლოს დახსნამა
ტრაპიზონს ჩამიყვანაო,
სამზღვარზედ პალო უსვია,
მერმე გზა მქონდა სანავო.

—

ულოვაშის ბოლო წითელი
კარგად მაქვს შელებულია
ფაფარ გაკნაჭულს ცხენს ეზივარ
ბაგლახად შეკაზმულია!

—

ორ კაბუტი ქორი მყავს,
ხოხობზე გამართულია.
შვილდი, კაბარჭი ნაძვის *) მაქვს,
ისარი მომართულია.

—

ბარკალმა ხიდზე მისუსტა
მაღლა ვიძახი შველასა.
თავადო რა გულისა ხარ
ახლავე გეტყვი ყველასა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

შაბათს, 26 თებერვალს ტფილისის კრების დარბაზში იქნება სატანცაო საღამო საქალაქო სახელოსნო სასწავლებლის ულარიბეს მოწაფეთა სასარგებლოდ. შესვლის ფასი მამ. კაცზე 2 მან., დედა-კაცზე 1 მან. ბილეთები ისყიდება კრების შვეიცართან და შაგერდოვის გაზეთის საგენტოში.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

დედა და შვილი

და

რამდენიმე ლექსი

თ. ილია ჭავჭავაძისა.

ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული

ფასი 15 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

ᲡᲐᲮᲡᲝᲚᲕᲐᲠᲘ

ბატონიშვილის ალექსანდრესის ირაკლის გარდაცვალებაზე.

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი სუთი შაური.

---

*) კაბარჭინას უძახიან თუგზს, რომელსაც იჭერენ მდ. ოკაბარჭინაში, რომელიც გამოშდინარებს ბალეოსტომის ტბიდამ და ერთვის შავის ზღვას ფოთთან.

ინგლისის

ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

Maison de confiance

შედარება ნაგნი ნაი.—1 Შ. 10 კ. მოსკოვის ნაიხ—1 Შ.40Შ

— — —1—20	— —1—60
— — —1—40	— —1—80
— — —1—60	— —2— „
— — —1—80	— —2—50
საუკეთესო—2— „	— —3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 5 პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ᲐᲛᲪ ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—37)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠ-ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲣᲗᲜᲔᲑᲘ

მიღებული ინგლისიდამ და ისყიდება თ. ს. შეშინოგის კანტორაში არწრუნის გალერეიაში. (5—3)

ᲐᲮᲐᲚᲘ

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

არწრუნის გალერეაა № 149, 150 ბ. ჯუანშერის ბიბლიოთეკასთან

ისყიდება ყოველ-გვარი რუსული და ქართული წიგნები, სახელმძღვანელ და ლიტერატურული.

სყიდვა და გაყიდვა ძველი წიგნებისა. მიიღება კომისიით ყოველ-გვარი წიგნები.

აქვე ისყიდება კანცელარიის მატერიალი, და მოსწავლეთათვის საჭირო ნივთები. (100—6)

საყდე-გალანტიური

ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ

ილ. ჭეონიასი, ქუთაისს, თ. ლ. მაჭუტაძის სახლში, მოწყობილი უახლესის სისტემის მაშინებით ჭისრულობს შესაკეთთა აღსრულებას 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვები. ქუთაისის გარეშე მცხოვრებთთ შეგვეთილთ თუ 25 მან. აღემატება, სასელოსნო ასრულებისათანავე დაუყოვნებლივ გაუგზავნის მათ თავის ხარჯით.

იმავ შენობაში იმყოფება

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

თ. ა. ლორთქიფანიძისა, ილ. ჭეონიასაგან იჯარით აღებული. ხელ-მოსაწერი პირობები ფრიად ხელ-მისაცემია. ბიბლიოთეკას შეემატა ახალი წიგნები. (20—4)

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡᲐ ქართველთათვის, შედგენილი გ. კალანდარიშვილის მიერ, მეშვიდე გამოცემა, შეცვლილი და დამატებული იაკობ გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა ხმის ასამაღლებელი ნიშნებით (съ удареніями) და ისყიდება გამომცემლის ზაქარია ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ბუბის ხიდის ყურთან. ფასი ათი შაური. ვინც იყიდის ერთად ნაღდს ფულზედ ოცსა ან მეტს ეგზემპლიარსა, წიგნი დაეთმობა ცხრა შაურათა. ვისაც ყდიანი წიგნი სურს, ამ ფასს უნდა დაუმატოს სამი შაური. ბრიქუროვის მაღაზიაშიეე ისყიდება ყოველ გვარი სასწავლებელო ქართული, რუსული, სომხური და ოსურული. ბარე-ქალაქებიდგან და ადგილებიდგან ყოველ გვარს დაბარებულებას მაღაზია ასრულებს დაუგვიანებლივ.

ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, ბუბის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ორმოცდა-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

ᲙᲐᲠᲢᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲘ, მეორე შეესებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠ-ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲣᲗᲜᲔᲑᲘ

მიღებული ინგლისიდამ და ისყიდება თ. ს. შეშინოგის კანტორაში არწრუნის გალერეიაში. (5—3)

ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲐ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲬᲘᲒᲜᲘ

„ᲪᲘᲙᲚ"

მოთხრობა

Ა. ᲛᲝᲠᲩᲮᲣᲑᲐᲠᲘᲫᲘᲡᲐ (ᲥᲐᲖᲑᲔᲖᲘᲡᲐ)

ფასი ადგილზედ 30 კ. გაგზავნით 40

ისყიდება ტფილისში „დროების" რედაქციაში და შაგერდოვის პავილიონში ალექსანდროვის ბალთან. წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივი დათმობა, მოსწავლე ყმაწვილებისათვის, ვინც პირ-და-პირ „დროების" რედაქციიდგან წაიღებს, ადგილზედ 20 კაპეიკად თითო წიგნი, გაგზავნით 30 კაპ. (20—8)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲙᲠᲐᲕᲢᲔᲑᲘ



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფად სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანჩანგალი, კოვზები, თვალნასები, კლიტეები, საფანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის სარისხისა. (100—27)

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

ᲡᲐᲚᲐᲛᲣᲠᲘ

№ 1.

გამოცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ.

ᲢᲐᲥᲡᲘᲐ

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, ეუქნებში და დატარებით 15 თებერვლიდამ 1 მარტამდის.

ბამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

პირველის ხარისხის	—1 გირ.	5½
მეორის „	—1 გირ.	3½
მესამის „	—1 გირ.	—

იმავე ფქვილ თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	5½
მეორის „	—1 გირ.	4 კ.

ᲬᲧᲐᲠᲘᲡ-ᲛᲐᲛᲘᲡ ᲞᲣᲠᲘ:

პირველ ხარის. ლავაში	1 გირ.	5½
მეორის „ „	—1 გირ.	4½
მესამის „ „	—1 გირ.	4 კ.

ᲫᲠᲝᲮᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	11 კ.
მეორის „	—1 გირ.	9 კ.
სუკი — —	—1 გირ.	17 კ.
ცხვრის ხორცი	1 გირ.	11 კ.

ᲚᲝᲠᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ:

პირველი ხარისხის	—1 გირ.	11 კ.
მეორის „	—1 გირ.	—

Дозволено цензурою. Тифлисъ. 24 Февраля 1883 г. Типографія Мелікова ბამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მგ[illegible]